პროგრამის სახელწოდება: სამკურნალო მცენარეების დამზადება

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მესამე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 22 კვირა

კვირეულლი სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15 სთ

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა: 310 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური - 6 **მაქსიმალური** - 10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

პროგრამის მიზნები:

მოამზადოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრი, რომელიც შეძლებს სამკურნალო მცენარეების იდენტიფიცირებას, სამკურნალო მცენარეების კულტივირებას, შეგროვებას, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დაამუშვებას, შეფუთვას და მარკირებას, ასევე მცენარეული ნედლეულის მავნებლებისაგან დაცვას, მცენარეთა ჰერბარიუმის გამზადებას.

სწავლის შედეგები:

1. სამკურნალო მცენარის იდენტიფიცირების, კულტივირების, შეგროვების, დამუშავება-შრობის, შეფუთვა–მარკირებისა და შენახვის თავისებურებათა დახასიათება;
2. სხვადასხვა სახის სამკურნალო სამკურნალო მცენარის ამოცნობა;
3. სამკურნალო მცენარეების კულტივირება (მიწის დამუშავება, თესვა, მოვლა, მოსავლის აღება უსაფრთხოების წესების დაცვით;
4. სხვადასხვა სახის სამკურნალო მცენარეული ნედლეულის შეგროვება, დამუშავება-შრობა უსაფრთხოების წესების დაცვით;
5. სამკურნალო მცენარეული ნედლეულის შეფუთვა–მარკირება, შენახვა უსაფრთხოების წესების დაცვით;
6. მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება;
7. მცენარეული ნედლეულის მავნებლებისაგან დაცვა;
8. მცენარეთა ჰერბარიუმის გამზადება.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს აღნიშნული ცოდნა/უნარები და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროგრამის ხანგრძლიობა შეადგენს 22 კვირას, 20 კვირის განმავლობაში კვირაში 15 საათი, 2 კვირის განმავლობაში კვირაში 5 საათი, სულ 310 სთ.

პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა (30%), ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება (70%). სწავლება განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით. თეორიული სწავლება ჩატარდება კოლეჯის სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში (A). პრაქტიკული მეცადინეობისთვის გამოყენებული იქნება კოლეჯის სასწავლო ნაკვეთი (C1), სამკურნალო მცენარეების გავრცელების არეალი (C2) და პარტნიორი ორგანიზაციის ბაზა (C3).

მსმენელების სწავლებისა და შეფასებისთვის გამოყენებული იქნება პროგრამის თემატიკის შესაბამისი მეთოდები. შეფასება ჩატარდება ორჯერ -მე-15 და 22-ე კვირას.

აღსანიშნავია, რომ სეზონურობის და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, შესაძლოა პროგრამაში წარმოდგენილი თემების სწავლების თანმიმდევრობა შეიცვალოს.

პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები ხელს შეუწყობს მსმენელების დასაქმებას პარტნიორ ორგანიზაციაში, ფერმერულ მეურნეობაში, სხვადასხვა სახის აგროფირმებში, ფიტოაფთიაქების ქსელში, ასევე შეძლებენ თვითდასაქმებას და საკუთარი ბიზნესის აწყობას.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები მიიღებენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ორენოვან სერტიფიკატს დანართით.